

საქართველოს საგარეო ვაჭრობა

2010 წლის იანვარ-ივლისში

2010 წლის იანვარ-ივლისში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა, 2009 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 18%-ით გაიზარდა და 3507 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.


მათ შორის:

- ექსპორტი გაიზარდა 41%-ით და 865 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა.
- იმპორტი გაიზარდა 12%-ით და 2642 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა.

ამ პერიოდში, 2009 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საქართველოს სავაჭრო პარტნიორების რაოდენობა 9 ერთეულით გაიზარდა და 129 ქვეყანა შეადგინა.

2009 წლის 7 თვეში საქართველოს 20 ქვეყანასთან ჰქონდა დადებითი სავაჭრო სალდო, ხოლო საანგარიშო პერიოდში ამ ქვეყნებს კიდევ თორმეტი დაემატა და საქართველოს დადებითი სავაჭრო ბალანსი 32 ქვეყანასთანდაუფიქსირდა.

2010 წლის იანვარ-ივლისში ექსპორტის ხვედრითმა წილმა საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 25% შეადგინა, მაშინ როდესაც მას, გასული წლის ანალოგიურ პერიოდში, 21% ეკავა.



2003 წლიდან საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა ზრდის მაღალი ტემპით ხასიათდება. 2004-2007 წლებში საშუალო ზრდის ტემპი 41.8%-ს შეადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ 2008 წლის პირველ ნახევარში სავაჭრო ბრუნვის მოცულობის ეს მაჩვენებელი 35.8%-ით განისაზღვრა, ხოლო მეორე ნახევარში მკვეთრად დაეცა და -2.4% შეადგინა (წლიური ზრდის ტემპი 17.2%), ქვეყნის საგარეო სავაჭრო ბრუნვამ სწორედ პიკს ამ წელს მიაღწია და 2008 წელს დაფიქსირებულია როგორც ექსპორტის, ისე იმპორტის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი.

2010 წლის იანვარ-ივლისში, 2008 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საგარეო სავაჭრო ბრუნვა 27% შემცირდა, მათ შორის ექსპორტი – 10%, ხოლო იმპორტი – 31%. 2003 წლიდან საგარეო სავაჭრო ბრუნვის განვითარების სტატისტიკა შემდეგია:

საგარეო სავაჭრო ბრუნვის ზრდის დინამიკა 2003-2010 წლებში

წლები	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010 7 თვე
ბრუნვა	1 606,4	2 494,8	3 357,6	4 613,0	6 447,3	7 800,6	5 500,0	3 501,0
ზრდის ტემპი (%)	48,9%	55,3%	34,6%	37,4%	39,8%	21,0%	-29,5%	19,0%
ექსპორტი	465,3	646,9	866,7	936,0	1 232,4	1 496,0	1 130,0	865,0
ზრდის ტემპი (%)	33,8%	39,0%	34,0%	8,0%	31,7%	21,4%	-24,5	41,0%
იმპორტი	1 141,1	1 847,9	2 490,9	3 677,0	5 214,9	6304,6	4 369,5	2 642,0
ზრდის ტემპი (%)	56,0%	61,9%	34,8%	47,6%	41,8%	20,9%	-30,7	12,0%
საღდო	-6 75,8	-1 201,0	-1 624,2	-2 741,0	3 982,5	-4 560,0	-3 243,4	-1 777,0

რეგიონალური ვაჭრობა

საქართველო – ევროკავშირი

2010 წლის იანვარ-ივლისში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა ევროკავშირის ქვეყნებთან 10%-ით გაიზარდა, 913 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და ქვეყნის სავაჭრო ბრუნვის 26% დაიკავა.

მათ შორის:

- ექსპორტი 23%-ით გაიზარდა, 156 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა და მთლიანი ექსპორტის 18% დაიკავა.
- იმპორტი 8%-ით გაიზარდა, 757 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და მთლიანი იმპორტის 29% დაიკავა.

საქართველო – დსთ

2010 წლის იანვარ-ივლისში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა დსთ-ის ქვეყნებთან 25%-ით გაიზარდა, 1136 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს სავაჭრო ბრუნვის 32% დაიკავა.

მათ შორის:

- ექსპორტი 58%-ით გაიზარდა, 344 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა და მთლიანი ექსპორტის 40% დაიკავა.
- იმპორტი 19%-ით გაიზარდა 792 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და მთლიანი იმპორტის 30% დაიკავა.

აღსანიშნავია, რომ დსთ-ს ხვედრითი წილი საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 2006 წლიდან მცირდება. ბოლო წლების სტატისტიკის მიხედვით საქართველო ნაკლებად დამოკიდებული ხდება ამ ქვეყნების საიმპორტო ბაზარზე, თუმცა 2009 წელს და განსაკუთრებით საანგარიშო პერიოდში ექსპორტის წილი ზრდის ტემპით ხასიათდება დსთ-ს ქვეყნების ბაზარზე. ეს ძირითადად ეხება **სუამ-ის** წვერ ქვეყნებს,

დსთ-ს ფარგლებში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის ძირითადი დატვირთვა სუამ-ის წვერ ქვეყნებზე (აზერბაიჯანი, უკრაინა, მოლდოვა) მოდის და მიუხედავად იმისა, რომ დსთ-ს წვერი ქვეყნების სავაჭრო ბრუნვის მოცულობა საქართველოს საგარეო ვაჭრობაში მცირდება, ამ ქვეყნების ხვედრითი წილის განსაკუთრებული ზრდა 2006 წლიდან შეიმჩნევა.

სუამ-ის წვერ ქვეყნებს 2006 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის მხოლოდ 16.2% ეკავა, აქედან ექსპორტის 13.6% და იმპორტის - 18.4%. ამავე წელს ამ ქვეყნებს დსთ-თან

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის მხოლოდ 41% ეკავა, ხოლო ექსპორტის 29% და იმპორტის 46%.

2010 წლის 7 თვის მონაცემებით სუამ-ის წვერი ქვეყნების წილი საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის 20.2%-ით (ექსპორტის 22% და იმპორტის 19.6%) განისაზღვრა. ამავე პერიოდში სუამ-ის წვერმა ქვეყნებმა დსთ-სთან საქართველოს სავაჭრო ბრუნვის 63% დაიკავა, აქედან ექსპორტის 55% და იმპორტის 66%.

რუსეთის ფედერაცია 2006 წლამდე საქართველოს პირველ სავაჭრო პარტნიორ ქვეყანას წარმოადგენდა. 2005 წლის ბოლოსა და 2006 წლის დასაწყისში მის მიერ საქართველოსთვის დაწესებული ეკონომიკური სანქციების შემდეგ საქართველო არა მარტო საექსპორტო ბაზრით, არამედ საიმპორტო ბაზრითაც აღარ არის დამოკიდებული ამ ქვეყანაზე. საანგარიშო პერიოდის მონაცემებით რუსეთის ფედერაცია საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების პირველ ათეულში მე-7 ადგილზეა 5%-იანი ხვედრითი წილით.

სხვა ქვეყნები


ევროკავშირისა და დსთ-ს ქვეყნების გარდა სხვა დანარჩენი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების სავაჭრო ბრუნვა 2010 წლის 7 თვეში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 15%-ით გაიზარდა და 1 457 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა. ამ ქვეყნების ხვედრითი წილი საქართველოს მთლიან სავაჭრო ბრუნვაში უცვლელია და 32%-ს შეადგენს,

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ზრდის ტემპი ახასიათებს ავსტრალიას, ინდონეზიას, შრი ლანკას, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას და ამერიკის შეერთებულ შტატებს.

თუ ამერიკის შეერთებულ შტატებს საქართველოს ათი ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების პირველ ათეულში 2009 წლის 7 თვეში მე-9 ადგილი ეკავა 165 მლნ. აშშ დოლარით, 2010 წლის იანვარ-ივლისში მან მე-3 ადგილზე გადაინაცვლა და სავაჭრო ბრუნვამ 201 მლნ. აშშ დოლარი, ანუ 21%-ით მეტი შეადგინა. განსაკუთრებით დიდი ზრდა - 327% დაფიქსირდა ექსპორტში. თუ მას, როგორც ექსპორტიორ ქვეყანას 2009 წლის 7 თვეში მე-6 ადგილი ეკავა 3.5%-იანი ხვედრითი წილით, 2010 წლის ანალოგიურ პერიოდში იგი მე-2 ადგილზეა 10.6%-იანი ხვედრითი წილით.

საქართველოს რეგიონალური ვაჭრობის დინამიკა


(პროცენტულად)



საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები

2010 წლის იანვარ-ივლისში ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორის წილმა საქართველოს მთლიან სავაჭრო ბრუნვაში 67% შეადგინა, აქედან 5 უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორს თურქეთს (16.8%), აზერბაიჯანს (10.1%), უკრაინას (9.7%), აშშ-ს (5.9%) და გერმანიას (5.2%) საქართველოს სავაჭრო ბრუნვის თითქმის ნახევარი (47.8%) უკავია.


საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები 2010 წლის იანვარ-ივლისში ხვედრითი წილის მიხედვით



2010 წლის 10 ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანა 2009 წლის 7 თვის ანალოგიურია, მხოლოდ იტალია ჩაანაცვლა არაბთა გაერთიანებულმა საამიროებმა.

საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები 2010 წლის იანვარ-ივლისის ბრუნვის მიხედვით

(მლნ. აშშ დოლარი)



მომდევნო ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილი საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 16.3% ხვედრითი წილით განისაზღვრა. ეს ქვეყნებია:

- რუმინეთი – 2.4%;
- იტალია – 2.3%;
- ნიდერლანდები – 1.9%;
- კანადა – 1.7%;
- ყაზახეთი – 1.5%;
- გაერთიანებული სამეფო – 1.4%;
- იაპონია – 1.4%;
- საფრანგეთი – 1.3%;
- საბერძნეთი – 1.3%;
- თურქმენეთი – 1.2%.

სულ საქართველოს 129 სავაჭრო პარტნიორი ქვეყნიდან პირველ ოც ქვეყანას ქვეყნის საგარეო სავაჭრო ბრუნვის 83.3% უკავია. თუმცა უნდა აღინიშნოს ის ფაქტორიც, რომ ზოგ ქვეყანასთან, რომლებიც არ წარმოადგენენ საქართველოს ძირითად 20 სავაჭრო პარტნიორს გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საგრძნობლად მოიმატა სავაჭრო ბრუნვამ.

კერძოდ:

ევროკავშირის ქვეყნები

- ლუქსემბურგი – 336%;
- ესპანეთი – 77%;
- ბელგია – 50%;
- დანია – 46%;
- პორტუგალია – 45%;
- ფინეთი – 45%;
- პოლონეთი – 35%;
- ლიტვა – 30%;
- ლატვია – 19%;
- ჩეხეთი – 14%.

დსთ-ს ქვეყნები

- მოლდოვა – 180%;
- უზბეკეთი – 110%;
- ყირგიზეთი – 56%;
- ტაჯიკეთი – 39%;
- ბელარუსი – 29%.

სხვა ქვეყნები

- ავსტრალია – 925%;
- ინდონეზია – 900%;
- შრი ლანკა – 200%;
- ს/აფრიკის რესპუბლიკა – 170%;
- ტაილანდი – 36%;
- ბრაზილია – 35%;
- ინდოეთი – 27%;
- ვიეტნამი – 25%;
- ეგვიპტე – 19%.

ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში, ისეთ ქვეყნებთან, როგორებიცაა ლიბანი, მალაიზია და პანამა, საქართველოს სავაჭრო ბრუნვა 2.5-3 მლნ. აშშ დოლარამდე გაიზარდა (ძირითადად ექსპორტის ხარჯზე), მაშინ როდესაც 2009 წლის 7 თვეში ამ ქვეყნებთან სავაჭრო ბრუნვა 100 ათას აშშ დოლარსაც კი არ აღწევდა. სამივე ქვეყანაში განხორციელებულია ჯართის ექსპორტი, ამასთან პანამაში ექსპორტირებულია ასევე ცქრიალა ღვინო და ალკოჰოლური სასმელები, მალაიზიაში - სამსხმელო წარმოებაში (მეტალურგია) გამოსაყენებელი მანქანები, ხოლო ლიბანში - ცოცხალი ცხოველები, რკინის წნელები და ავეჯი.

აფრიკის ქვეყნებს: გაბონს, განას, ზიმბაბვეს, ალჟირსა და ბურკინა ფასოს 2009 წლის 7 თვეში საქართველოსთან სავაჭრო ბრუნვა არ ჰქონიათ. 2010 წლის 7 თვეში გაბონთან 6.4 მლნ. აშშ დოლარის, ხოლო განასთან 4.5 მლნ. აშშ დოლარის სავაჭრო ბრუნვა დაფიქსირდა ძირითადად ჯართისა და წილის იმპორტის ხარჯზე. საანგარიშო პერიოდში ალჟირთან სავაჭრო ბრუნვამ შეადგინა 1 586 ათასი აშშ დოლარი შიგაწვის ძრავების ხარჯზე, ხოლო ბურკინა ფასოდან განხორციელდა 160 ათასი დოლარის სპილენძის მადნების იმპორტი. რაც შეეხება ზიმბაბვეს, ამ ქვეყანაში განხორციელდა 2 700 ათასი დოლარის აზოტოვანი სასუქების ექსპორტი.


2009 წელს საქართველოს საღვადლორთან სავაჭრო ბრუნვა არ განუხორციელებია. 2010 წლის 7 თვეში ამ ქვეყნიდან იმპორტირებულია 4.4 მლნ აშშ დოლარის შაქრის ფხვნილი.

ექსპორტი

ძირითადი საქსპორტო პროდუქცია

საანგარიშო პერიოდში სასაქონლო ჯგუფებიდან პირველ საქსპორტო ათეულს 63.8% უკავია. საქსპორტო ათეულში პირველი ადგილი ფეროშენადნობებმა დაიკავა, 146 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და მის წილად ექსპორტის 16.8 პროცენტი მოდის, ხოლო მე-2 ადგილი მსუბუქი ავტომობილების ექსპორტმა დაიკავა და 107 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც ექსპორტის 12.4 პროცენტი იყო. მესამე ადგილზე კვლავ შავი ლითონების ჯართი დარჩა. ამ სასაქონლო ჯგუფის ექსპორტი 27 მლნ. აშშ დოლარით გაიზარდა და 66 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. აღსანიშნავია, 2010 წლის 6 თვის მონაცემებით ათი ძირითადი საქსპორტო ჯგუფიდან იელისში თხილი ჩაანაცვლა ღვინომ.

საქართველოს ათი ძირითადი საქსპორტო პროდუქცია 2010 წლის იანვარ-ივლისის პროცენტულად



ძირითადი 10 საქსპორტო პროდუქცია 2010 წლის 7 თვეში, წინა წლის ანალოგიური პერიოდის 10 პოზიციასთან შედარებით, 40%-ით გაიზარდა.

საექსპორტო პროდუქციის შემდგომ ათეულს საქართველოს ექსპორტში 13.5% უკავია. ეს პოზიციებია:

- თხილი და კაკალი – 2.2%;
- ნელლი ნავთობი – 2.0%;
- ელექტროენერჯის კვების წყარო – 2%;
- ფარმაცევტული პროდუქცია – 1.8%;
- საფრენი აპარატების ნაწილები – 1.6%;
- მსხვილფენა რქოსანი საქონელი – 1.0%;
- უალკოჰოლო სასმელები – 1.0%;
- ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები – 0.8%;
- მოცურავე შუქურიანი გემები – 0.6%;
- კვების ცილოვანი კონცენტრატები – 0.5%.

2010 წლის 7 თვეში 20 ძირითად საექსპორტო პოზიციას საქართველოს ექსპორტში 77.3% უკავია.

გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით საკმაოდ მნიშვნელოვნად გაზრდილია სხვადასხვა პროდუქციის საექსპორტო მოცულობები. კერძოდ:

- ხილბოსტნეულის კონსერვები – 284% (ისრაელი, პოლონეთი, სომხეთი, აშშ, ყაზახეთი, ეკვატორული გვინეა, გერმანია, რუსეთი, უნგრეთი, ჩეხეთი, საფრანგეთი, ლატვია, ლიტვა, უკრაინა);
- ხილის წვენები – 274% (უკრაინა, აშშ, ყაზახეთი, პოლონეთი, გერმანია, აშშ);
- მწვანილი – 105% (აზერბაიჯანი, ბულგარეთი, ბელარუსი, ჩეხეთი, ესტონეთი, ლატვია, მოლდოვა, რუმინეთი, უკრაინა);
- სანელებლები – 73% (გერმანია, უკრაინა, აზერბაიჯანი, კანადა, პოლონეთი, აშშ, სომხეთი, ბელარუსი, ჩინეთი, ბენინი, ყაზახეთი, ლატვია, მოლდოვა, ფილიპინები, რუსეთი, ვიეტნამი, შვეიცარია, თურქეთი, უზბეკეთი, აშშ);
- თევზი – 61% (აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქეთი, უკრაინა);
- პომიდორი – 43% (2009 წელს გავიდა მხოლოდ სომხეთში, ხოლო 2010 წელს მისი გასვლა დაფიქსირებულია მხოლოდ ბელარუსში);
- ავეჯი – 30% (სომხეთი, ყაზახეთი, აზერბაიჯანი, თურქმენეთი)

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 1.1 მლნ. აშშ დოლარის ქართული კარტოფილის ექსპორტი (აზერბაიჯანი, უკრაინა). უნდა აღინიშნოს, რომ 2009 წლის ანალოგიურ პერიოდში კარტოფილის ექსპორტი ფაქტიურად არ განხორციელებულა.

2010 წლიდან დაიწყო კომბოსტოს ექსპორტი საქართველოდან და იგი 1.1 მლნ. აშშ დოლარის მოცულობით იქნა გატანილი სომხეთში.

2010 წლის 7 თვეში სულ გასულია 300 ათასი დოლარის ოდენობის იოგურტი აზერბაიჯანში, სომხეთსა და ირანში, მაშინ როდესაც 2009 წელს საქართველოდან მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობის - 20 ათასი აშშ დოლარის ოდენობის იოგურტი გავიდა სომხეთში.

2009 წელს მხოლოდ 100 ათასი აშშ დოლარის კარაქი გავიდა აზერბაიჯანში, ხოლო 2010 წლის 7 თვეში ამ პროდუქციის ექსპორტი 900 აშშ ათასამდე გაიზარდა და იგი ექსპორტირებულ იქნა აზერბაიჯანში, სომხეთსა და თურქმენეთში.

პრეფერენციული რეჟიმით ექსპორტირებული პროდუქცია

თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი

2010 წლის 7 თვეში საქართველოდან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმით ექსპორტირებულია სულ 479.1 მლნ. აშშ დოლარის პროდუქცია. აქედან:

- დსთ-ში 343.6 მლნ. აშშ დოლარის (საქართველოს ექსპორტის 39.7%);
- თურქეთში 135.5 მლნ. აშშ დოლარის (საქართველოს ექსპორტის 15.6%).

ევროკავშირში GSP+ სქემით გასული ექსპორტი

2010 წლის იანვარ-ივლისში ევროკავშირის ბაზარზე პრეფერენციული რეჟიმით გავიდა 49.73 მლნ. აშშ დოლარის 23 სახეობის პროდუქცია. აქედან სამ სახეობაზე მოდის ექსპორტირებული პროდუქციის 68.29%, ანუ 33.96 მლნ. აშშ დოლარი:

- ამონიუმის გვარჯილა – 26.40% (13.13 მლნ. აშშ დოლარი);
- ფეროშენადნობები – 23.51% (11.69 მლნ. აშშ დოლარი);
- თხილი – 18.37% (9.13 მლნ. აშშ დოლარი). ევროკავშირის 27 წევრი ქვეყნიდან მხოლოდ 22 ქვეყანაშია ამ რეჟიმით ექსპორტირებული პროდუქცია. აქედან, ხუთ ქვეყანაზე მოდის ექსპორტირებული პროდუქციის 64.68%:
- გერმანია – 21.65%;
- ნიდერლანდები – 12.76%;
- იტალია – 11.57%;
- საბერძნეთი – 9.52%;
- ესპანეთი – 9.18%.

2010 წლის იანვარ-ივლისში ევროკავშირის ქვეყნებთან პრეფერენციული რეჟიმით ვაჭრობის ფარგლებში ქართველი ექსპორტიორების სარგებელმა (უტილიზაციამ) 2.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

2010 წლის იანვარ-ივლისში ევროკავშირში განხორციელდა 156 მლნ. აშშ დოლარის საერთო ექსპორტი, აქედან GSP+-ის რეჟიმით გასულმა პროდუქციამ 32.0% დაიკავა.

აშშ –ში GSP -ის სქემით ექსპორტირებული პროდუქცია

2010 წლის იანვარ-ივლისში აშშ-ს ბაზარზე პრეფერენციული რეჟიმით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გაცემული წარმოშობის სერთიფიკატ ფორმა “A”-ს თანხლებით გავიდა 13.76 მლნ. აშშ დოლარის 5 სახეობის პროდუქცია. აქედან ფეროშენადნობებმა დაიკავა აღნიშნული მოცულობის 96.2% (13.24 მლნ. აშშ დოლარი), დანარჩენი 4 სახეობის პროდუქციამ კი 0.52 მლნ აშშ დოლარი. კერძოდ:

- ხილის წვენი – 0.35 მლნ. აშშ დოლარი;
- საკონსერვო პროდუქცია – 0.08 მლნ. აშშ დოლარი;
- უალკოჰოლო სასმელები – 0.08 მლნ. აშშ დოლარი;
- ბოლნისის ტუფი – 0.02 მლნ. აშშ დოლარი.

საქართველოსა და აშშ-ს შორის პრეფერენციული ვაჭრობით მიღებული სარგებელი 2010 წლის იანვარ-ივლისში 360.0 ათასი აშშ დოლარით განისაზღვრა.

2010 წლის იანვარ-ივლისში აშშ–თან საერთო ექსპორტის (91.4 მლნ აშშ დოლარი) 15.0%-მა ისარგებლა GSP-ის რეჟიმით. საქართველოდან ექსპორტირებული პროდუქციის აშშ-ს ბაზარზე პრეფერენციული რეჟიმში მოსაქცევად, აშშ-ს საბაჟო ორგანოებს “ფორმა A“-ს ნაცვლად, ასევე შეიძლება ადგილობრივად წარედგინოს წარმოშობის დამადასტურებელი სერთიფიკატის სხვა ფორმა ან საიმპორტო დეკლარაცია (GSP DECLARATION).

იაპონიაში GSP -ის სქემით გასული ექსპორტი

2010 წლის იანვარ-ივლისში იაპონიაში GSP-ის რეჟიმით განხორციელდა 3.35 მლნ. აშშ დოლარის ფეროსილიკომანგანუმისა და 0.03 მლნ. აშშ დოლარის მინერალური სასმელების ექსპორტი.

შვეიცარიაში GSP -ის სქემით გასული ექსპორტი

2010 წლის იანვარ-ივლისში შვეიცარიაში GSP-ის რეჟიმით განხორციელდა 0.02 მლნ. აშშ დოლარის სუნელებისა და 0.01 მლნ აშშ დოლარის ხის მასალის ექსპორტი.

კანადაში GSP -ის სქემით გასული ექსპორტი

2010 წლის იანვარ-ივლისში კანადაში GSP-ის რეჟიმით განხორციელდა 0.02 მლნ. აშშ დოლარის ხილის წვენის ექსპორტი.

ნორვეგიაში GSP -ის სქემით გასული ექსპორტი

2010 წლის იანვარ-ივლისში ნორვეგიაში GSP-ის რეჟიმით განხორციელდა 0.01 მლნ. აშშ დოლარის მანგანუმის ოქსიდის ექსპორტი.


გაცემული საქონლის წარმოშობის სერტიფიკატები

2010 წლის იანვარ-ივლისში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გაიცა 603 წარმოშობის სერტიფიკატი ფორმა „A“, აქედან ევროკავშირში ექსპორტისას – 541, ხოლო „GSP“-ის მომნიჭებელ სხვა ქვეყნებში (აშშ, კანადა, შვეიცარია, ნორვეგია, იაპონია) – 62 სერტიფიკატი.

უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნები

ათი საექსპორტო ქვეყანა თითქმის იგივეა, რაც 2009 წლის 7 თვეში, მხოლოდ არაბთა გაერთიანებული საამიროები და იტალია ჩაანაცვლეს ესპანეთმა და რუმინეთმა.

საქართველოს უმსხვილესი საგაჭრო პარტნიორი ქვეყნები 2010 წლის იანვარ-ივლისის ექსპორტის მიხედვით პროცენტულად



2010 წლის მე-7 თვეში, ათი ძირითადი საექსპორტო ქვეყნებიდან გერმანია 1.9 სვედრითი წილით ჩაანაცვლა ესპანეთმა 2.2% სვედრითი წილით (ძირითადად სპილენძისა და შავი ლითონების ექსპორტის ხარჯზე).

2010 წლის იანვარ-ივლისში შემდგომი ათი ძირითადი საექსპორტო ქვეყნების წილი 14.9%-ით განისაზღვრა.

ეს ქვეყნებია:

- ბელგია – 1.8%;
- ა.გ.ს. – 1.8%;
- ყაზახეთი – 1.8%;
- გერმანია – 1.8%;
- ბელარუსი – 1.4%;
- ბელგია – 1.7%;
- ჩინეთი – 1.3%;
- გაერთ. სამეფო – 1.3%;
- ნიდერლანდები – 1.3%;
- იტალია – 1.3%;
- თურქმენეთი – 1.1%.

2010 წლის 7 თვეში 20 ძირითადი საექსპორტო ქვეყნის წილი საქართველოს მთლიან ექსპორტში 89.3%-ს შეადგენდა.

2010 წლის იანვარ-ივლისში საქართველომ ექსპორტი განახორციელა მსოფლიოს 98 ქვეყანაში. მათ შორის არის ქვეყნები, რომლებშიც გასული წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი არ განხორციელებულა. ეს ქვეყნებია გამბია, ეკვატორული გვინეა და ზიმბაბვე,


იმპორტი

უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2010 წლის იანვარ-ივლისში ნავთობი და ნავთობპროდუქტებია 348 მლნ. აშშ დოლარით, რომლის წილმა იმპორტში 13.1% შეადგინა.

მეორე ადგილზე არის მსუბუქი ავტომობილების იმპორტის სასაქონლო ჯგუფი 174 მლნ. აშშ დოლარით, რაც იმპორტის 6.6%.

წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა სამკურნალო საშუალებების ჯგუფის იმპორტი 17 მლნ. აშშ დოლარით და 110 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

უმსხვილესი სასაქონლო პოზიციები საქართველოს იმპორტში პროცენტულად




საქართველოს უმსხვილესი იმპორტიორი ქვეყნები

2010 წლის იანვარ-ივლისში საქართველოს ძირითადი იმპორტიორი ქვეყნების წილმა საქართველოს იმპორტში 67.8% შეადგინა.

ათი ძირითადი იმპორტიორი ქვეყანა 2009 წლის 7 თვის ანალოგიურია, მხოლოდ ბულგარეთი იქნა ჩანაცვლებული არაბთა გაერთიანებული საამიროებით.

საქართველოს ათი უმსხვილესი იმპორტიორი ქვეყანა პროცენტულად



შემდეგი ათი ძირითადი იმპორტიორი ქვეყნის წილი 15.7%-ით განისაზღვრა.

ეს ქვეყნებია:

- ბულგარეთი – 2.4%;
- ნიდერლანდები – 2.1%;
- იაპონია – 1.7%;
- საფრანგეთი – 1.6%;
- საბერძნეთი – 1.5%;
- გაერთიანებული სამეფო – 1.4%;
- ყაზახეთი – 1.3%;
- ბრაზილია – 1.3%;
- თურქმენეთი – 1.2%;
- ჩეხეთი – 1.1%.

2010 წლის 7 თვის 20 ძირითადი იმპორტიორი ქვეყნის წილი 83.5%-ს შეადგენს.

2010 წლის იანვარ-ივლისში იმპორტი განხორციელებულია მსოფლიოს 113 ქვეყნიდან. მათ შორის არის ქვეყნები, რომლებიდანაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდში იმპორტი არ განხორციელებულა. ეს ქვეყნებია ალჟირი, გაბონი, განა, ბაჰრეინი, ბერმუდა, დომინიკა, მაკაუ, სალვადორი, ბურკინა ფასო.

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2010 წლის იანვარ-ივლისში

(მლნ აშშ დოლარი)

ქვეყანა	ბრუნვა	ექსპორტი	იმპორტი	სალდო
საგარეო ვაჭრობა – სულ	3506885,8	864703,6	2642182	-1777478,6
მათ შორის				
ევროკავშირის ქვეყნები	913452,9	156119,0	757333,9	-601214,9
ავსტრია	27806	208,1	27597,9	-27389,8
ბელგია	42089,9	15814,3	26275,6	-10461,3
ბულგარეთი	96107	31570,0	64537,0	-32967,0
გაერთიანებული სამეფო	48354,1	11264,3	37089,8	-25825,5
გერმანია	188523,6	15229,1	173294,5	-158065,4
დანია	11077,7	2621,4	8456,3	-5834,9
ესპანეთი	38902,2	19118,4	19783,8	-665,4
ესტონეთი	2370,6	434,5	1936,1	-1501,6
ირლანდია	3454,1	141,4	3312,7	-3171,3
იტალია	79241,9	11007,7	68234,2	-57226,5
კვიპროსი	555,5	53,6	501,9	-448,3
ლატვია	10927	2249,5	8677,5	-6428,0
ლიტვა	17921,8	4816,3	13105,5	-8289,2
ლუქსემბურგი	3115,3	19,2	3096,1	-3076,9
მალტა	20,9	17,5	3,4	14,1
ნიდერლანდები	65857,1	11176,2	54680,9	-43504,7
პოლონეთი	29563,6	1727,5	27836,1	-26108,6
პორტუგალია	3180,5	1355,1	1825,4	-470,3
რუმინეთი	84650,2	15911,9	68738,3	-52826,4
საბერძნეთი	44014,9	5507,1	38507,8	-33000,7
საფრანგეთი	44726,7	2455,5	42271,2	-39815,7
სლოვაკეთი	3069,2	161,9	2907,3	-2745,4
სლოვენია	6494,7	625,8	5868,9	-5243,1
უნგრეთი	14196,5	171,0	14025,5	-13854,5
ფინეთი	9675,9	86,6	9589,3	-9502,7
შვედეთი	6682,4	12,7	6669,7	-6657,0
ჩეხეთი	30873,6	2362,4	28511,2	-26148,8
დსთ-ის ქვეყნები	1135941,7	343573,1	792368,6	-448795,5
აზერბაიჯანი	369367,2	132984,8	236382,4	-103397,6
ბელარუსი	28067,5	12136,8	15930,7	-3793,9
თურქმენეთი	42291,1	9437,3	32853,8	-23416,5
მოლდოვა	6163,3	3357,5	2805,8	551,7

რუსეთი	175423,8	22503,3	1529 20,5	-130417,2
სომხეთი	111485,1	83386,3	28098,8	55287,5
ტაჯიკეთი	1420,7	1372,2	48,5	1323,7
უზბეკეთი	7494,3	4286,8	3207,5	1079,3
უკრაინა	340786,9	56903,9	283883,0	-2269 79,1
ყაზახეთი	51086,6	15476,2	35610,4	-20134,2
ყირგიზეთი	2355,1	1728,0	627,1	1100,9
დანარჩენი ქვეყნები	1457491,2	365011,6	1092480	-727468,0
ავსტრალია	11098,5	415,7	10682,8	-10267,1
ავღანეთი	5	5,0	-	5,0
ალბანეთი	985,4	985,3	0,1	985,2
ალჟირი	1586	-	1586,6	-1586,6
ანგოლა	0,1	0,1	-	0,1
ანდორა	18,8	-	18,8	-18,8
ანტიგუა-ბარბუდა	225,8	-	225,8	-225,8
ა/გ ემირატები	99596,6	15664,3	83932,3	-68268,0
არგენტინა	1896,9	-	1896,9	-1896,9
აშშ	201168,6	91355,3	109813,3	-18458,0
ახალი ზელანდია	4739,2	-	4739,2	-4739,2
ბანგლადეში	11,2	1,0	10,2	-9,2
ბაჰრეინი	7,4	-	7,4	-7,4
ბენინი	13,9	13,9	-	13,9
ბერმუდა	3,8	-	3,8	-3,8
ბოსნია-ჰერცეგოვინა	54	20,5	33,5	-13,0
ბრაზილია	39911,6	5985,0	33926,6	-27941,6
ბურკინაფასო	158,1	-	158,1	-158,1
გაბონი	6422,8	-	6422,8	-6422,8
გამბია	5,0	5,0	-	5,0
განა	6254,9	-	6254,9	-6254,9
გიბრალტარი	150,2	-	150,2	-150,2
დომინიკა	6,9	-	6,9	-6,9
ეკვატორული გვინეა	4414,4	934,6	3479,8	-2545,2
აკვადორი	7150,3	-	7150,3	-7150,3
ეკვადორული გვინეა	13,3	13,3	-	13,3
ერაყი	4279,7	4265,0	14,7	4250,3
ვიეტნამი	7461,6	586,9	6874,7	-6287,8
ვირჯინის კუნძულები, ბრიტანე	270,6	-	270,6	-270,6
ზიმბაბვე	2625,6	2625,6	-	265,6
თურქეთი	587305,8	138390,7	448915,1	-310524,4
იაპონია	49103,5	3573,8	45529,7	-41955,9
იემენი	1,0	0,5	0,5	0,0
ინდოეთი	24558	7789,6	16768,4	-8978,8
ინდონეზია	5020,7	47,3	4973,4	-4926,1
იორდანია	511,4	-	511,4	-511,4
ირანი	28997,9	3841,9	25156,0	-21314,1

ისრაელი	11287	3047,7	8239,3	-5191,6
კამბოჯა	46,4	46,4	-	46,4
კამერუნი	6,4	-	6,4	-6,4
კანადა	61042,9	51129,3	9913,6	41215,7
კენია	0,3	-	0,3	-0,3
კოლუმბია	130,9	4,8	126,1	-121,3
კონგო	45,4	36,0	9,4	26,6
კორეა	20258,5	5262,1	14996,4	-9734,3
კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა	98,3	92,2	6,1	86,1
კოსტარिका	301,6	-	301,6	-301,6
კუბა	142,6	-	142,6	-142,6
ლიბანი	2237,2	2152,9	84,3	2068,6
ლიბია	398,4	398,4	-	398,4
ლიხტენშტაინი	260,7	63,7	197,0	-133,3
მაურიკი	25,6	-	25,6	-25,6
მაკაუ	0,2	-	0,2	-0,2
მაკედონია	31,2	2,0	29,2	-27,2
მალაიზია	2872,5	753,5	2119,0	-1365,5
მაროკო	1902,2	1902,2	-	1902,2
მექსიკა	2034	2029,7	4,3	2025,4
მოზამბიკი	3110,8	3110,8	-	3110,8
მონაკო	13,1	-	13,1	-13,1
მონგოლეთი	70,8	70,8	-	70,8
ნეპალი	474,9	474,9	-	474,9
ნორვეგია	2042,9	127,6	1915,3	-1787,7
ომანი	1231,7	173,5	1058,2	-884,7
პაკისტანი	977,6	21,8	955,8	-934,0
პანამა	2492,5	1525,6	966,9	558,7
პერუ	0,2	-	0,2	-0,2
სალვადორი	4442,4	-	4442,4	-4442,4
სამხრეთი აფრიკა	2287,7	21,9	2265,8	-2243,9
სანმარინო	6,3	-	6,3	-6,3
საუდების არაბეთი	174,9	103,2	71,7	31,5
საფრანგეთის პოლინეზია	3,2	-	3,2	-3,2
სერბია-მონტენეგრო	770,2	73,1	697,1	-624,0
სიერალეონე	14,5	-	14,5	-14,5
სინგაპური	8452,5	1149,1	7303,4	-6154,3
სირია	1734	479,8	1254,2	-774,4
სუდანი	0,8	0,5	0,3	0,2
ტაივანი,ჩინეთის პროვინცია	3715,7	347,7	3368,0	-3020,3
ტაილანდი	10513,4	334,1	10179,3	-9845,2
ტანზანია	13,5	-	13,5	-13,5
ტუნისი	86,2	-	86,2	-86,2
უგანდა	42,9	3,5	39,4	-35,9
ურუგვაი	667,4	-	667,4	-667,4

ფილიპინები	142,7	130,1	12,6	117,5
ქუვეითი	244,1	207,9	36,2	171,7
ყატარი	1,1	-	1,1	-1,1
შვეიცარია	18713,6	25,9	18687,7	-18661,8
შრილანკა	1581,2	895,2	686,0	209,2
ჩილე	1410,5		1410,5	-1410,5
ჩინეთი	175828,5	11279,9	164548,6	-153268,7
ხორვატია	1834,6	36,6	1798,0	-1761,4
ჰონკონგი, ჩინეთის სპეციალური ადმინისტრაციული რაიონი	15237,3	976,7	14260,6	-13283,9